





ნ. ვ. გოგოლი

მკვდარი სულები  
პოემა

ოთხგვერდის  
გადაწყვეტა

ნ. ვ. გოგოლი  
მკვდარი სულები  
პოემა

Н. В. Гоголь  
МЁРТВЫЕ ДУШИ

რუსულიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ  
გარეკანზე: ალექსეი სავრასოვის „ჭილყვავები მოფრინდნენ“  
© გამომცემლობა „დიოგენე“, 2018  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-562-2

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ՅՈՒՆԻ ԱՌՋԵԼՈ



## თავი პირველი

საგუბერნიო ქალაქ NN-ის სასტუმროს წინკარში ერთმა ისეთ-მა მომცრო, კოხტა რესორებიანმა ბრიჩკამ შეუხვია, როგორითაც უცოლო მამაკაცები მგზავრობები ხოლმე: გადამდგარი პოდპოლ-კოვნიკები, შტაბსკაპიტნები თუ ასიოდე სული ყმაგლების პატრონი მემამულები – მოკლედ, ყველა ისინი, ვისაც საშუალო შეძლების ბატონკაცებად იხსენიებენ ჩვენში. შიგ მჯდომ მგზავრს მთლად ლამაზი კაციც არ ეთქმოდა, ოლონდ გარეგნობითაც ვერ დაიწუნებდი – არც მეტისმეტად ფერხორცუანი გახლდათ და არც გაჩხინ-კული; ასაკოვანიაო, ვერ იტყყოდი, ოლონდ მთლად ყმანვილკაცსაც არ ჰეგავდა. ქალაქში მისი ჩამოსვლა თვალში დიდად არავის სცემია და არც რამე განსაკუთრებული გამოხმაურება მოჰყოლია. ეგაა მხოლოდ, სასტუმროს გადაღმა, დუქნის კართან მდგარმა ორმა რუსმა გლეხმა გამოთქვა აზრი ძუნწად, თუმცა ისიც უფრო ეტ-ლთან დაკავშირებით, ვიდრე მასში მჯდომის თაობაზე: „ბორბლებს შეხედე, ბორბლებს! – გადაულაპარაკა ერთმა მეორეს. – რამე რო იყოს, მოსკოვამდე ჩაალწევს?“ „ჩაალწევს.“ – უთხრა მეორემ. „აი, ყაზანამდე კი ნალდად რო ვერ მიატანს!“ „ეგრეა, ყაზანმდე – ვე-რაფრით...“. საუბარი ამით მოთავდა. მერე კი, როცა ბრიჩკა სასტუმროს მიადგა, ზუსტად იქვე ვიღაც ახალგაზრდა კაცმაც ჩაიარა, ვისაც კანიფასის ქსოვილის მოკლე, ერთობ ვინწრო, შემოტკეცილი თეთრი შარვალი და აშკარად მოდას ადევნებულის ფრაკი ემოსა,

რომლის შიგნითაც გულისპირი ტულაში ნახელავი, დამბაჩის გა-  
მოსახულებიანი ბრინჯაოს ქინძისთვით დაემაგრებინა. ახალგაზ-  
რდამ მხარსუკან გამოხედა ეტლს, ხელით შეიმაგრა ქარისაგან ლა-  
მის წამოხდილი ქუდი და ისევ თავის გზას გაუდგა.

სასტუმროს ეზოში ახლად შესულს მედუქნე ბიჭი მიეგება –  
ისეთი ცქვიტი და დაუდეგარი, სახესაც ვერ შეუთვალიერებდი ხეი-  
რიანად. მელავზე ხელსახოცგადაფენილი, ცუხცუხით გამოეშუ-  
რა სტუმრისკენ. ხმელ-ხმელსა და აწონილს, გრძელი, ბამბანარე-  
ვი, მრგვალსაყელიანი სერთუკი ეცვა. თავის ერთი გადაქნევით,  
შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან გადაიგდო და ფიცრული შუშაბან-  
დის გავლით, მკვირცხლად გაუძლვა მოსულს ღვთივბოძებული  
მოსასვენებლის საჩვენებლად. ეს სავანე კი ერთობ თავისებური  
გახლდათ, რამდენადაც თავისებური იყო თვით სასტუმროც, ანუ  
ზუსტად ისეთი, როგორსაც საგუბერნიო ქალაქებში ნახავთ, სადაც  
დღეში ორ მანეთად მგზავრს ყველა კუთხიდან შავი ქლიავივით  
გამოჭყეტილი ტარაკნებით სავსე დასაძინებელ ოთახს სთავაზო-  
ბენ. ასეთ ოთახს მომიჯნავეში გამავალი, ზედ მოდგმული დაბალი  
კარადით ჩახერგილი კიდევ ერთი კარიც აქვს ხოლმე, მეზობელი  
კიდე, როგორც წესი, ვინმე უხმო და წყნარი კაცია, ოღონდ წრე-  
გადასულად ცნობისმოყვარე და ერთი სული აქვს, სულ წვრილად  
შეიტყოს ახლად შემოსახლებული მობინადრის ამბავი. ამ მეტის-  
მეტად წაგრძელებული, ორსართულიანი შენობის ქვედა სართულს  
ბათქაშის კვალიც არ აჩნდა და ისედაც, ცოტა არ იყოს, ჭუჭყის-  
ფერდაკრული, მუქი წითელი აგურები ამინდის ხშირი ჭირვეულო-  
ბისაგან კიდევ უფრო ჩაუამებული მოჩანდა. აი, ზედა სართული კი  
სამარადჟამო ყვითლად შეეღებათ. ქვემოთ დახლები გაემართათ  
ცალულებით, თოკებითა თუ კვერებით მოვაჭრებს, კუთხის სავაჭ-  
როში კი – უფრო სწორად, მის ფანჯარაში – თაფლუჭის სახეაჭარ-  
ხლებული გამყიდველი მოკალათებულიყო წითლადვე მბზინავი,  
თუნუქის სამოვრითურთ და შორიდან ისე მოჩანდა, გეგონებოდა,  
რაფაზე ზუსტად ერთნაირი ორი სამოვარი შემოუდგამთო, რომ  
არა ერთ-ერთის კუპრივით შავი წვერ-ულვაში.

სანამ ახლად ჩამოსული ბატონი თავის სამყოფელს ათვალიერებდა, მისი ბარგი-ბარხანაც შემოზიდეს: ჯერ თეთრი ტყავის ჩემოდანი, ცოტა არ იყოს, შელახული, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ შორ გზებზე მგზავრობას ნაჩვევი უნდა ყოფილიყო; ჩემოდანს ორნი ეზიდებოდნენ – ტანდაბალი, ტყაპუჭშემოცმული მეტლე სელიფანი და ლაქია პეტრუშა – ოცდაათიოდე წლის კაცი, ვისაც ფართხუნა, ეტყობა, ბატონის ნახმარი სერთუკი მოერგო, ერთობ სქელი ცხვირ-ტუჩი ჰქონდა და ერთგვარად პირქუში იერით გამოირჩეოდა. ჩემოდანს კარელიური არყის ხით განყობილი, წითელი ხის მომცრო ზარდახშა, ჩემის ჩამოსაცმელი წყვილი კალაპოტი და ლურჯ ქაღალდში გახვეული შემწვარი ქათამი მოჰყვა. როცა ეს ყველაფერი დააბინავეს, მეტლე სელიფანი თავლაში გაეშურა ცხენების მისახედად, ლაქია პეტრუშა კი ვიწრო წინკარში, თითქმის მთლად ჩაბნელებულ სათავსოში მოწყობას შეუდგა, სადაც უკვე მოესწრო საკუთარი შინელის შეტანა და მასთან ერთად, კიდევ რაღაც სუნისაც, რომელიც ლაქიისათვის უცილობლად საჭირო ნივთებით სავსე ჯვალოს ტომარას შემოჰყოლოდა. მერე ამ სოროს ერთ კედელს ვიწრო, კოჭლი საწოლიც მიადგა, ზედ კი მოკლე, ლეიბისმაგვარი რაღაც დააფინა – თხელი, ბლინივით გაბრტყელებული და ვინ იცის, მართლა იმ ბლინივით გაზიპული, ბოლოს მაინც რომ გამოსტყუა სასტუმროს პატრონს.

ვიდრე მსახურები თავ-თავიანთ საქმეებს მიხედავდნენ, ბატონმა საერთო ოთახს მიაშურა. ამგვარი ოთახები ყველა მგზავრისთვის კარგადაა ნაცნობი: ერთნაირი, ზეთის საღებავით შეღებილი, ზემოთ ჩიბუხის კვამლით ჩაშავებული, ხოლო ქვემოთ ასობით მგზავრის ზურგებით გაზინთული კედლები, უფრო მეტად კი ადგილობრივი ვაჭრების, რადგან ბაზრობის დღეებში სწორედ ისინი მოაშურებენ ხოლმე ასეთ ოთახებს – ჯგუფ-ჯგუფად თუ კენტად, სავალდებულო ორიოდ ჭიქა ჩაის მისართმევად; ერთნაირად გამჭვარტლული ჭერი, ერთნაირად გამჭვარტლული შუშის ჭალი, რომლის შუშისავე ლოლუები ყოველ ჯერზე წყარუნ-წყარუნით ეხლებოდა ერთიმეორეს, როცა კი მედუქნე ბიჭი გაქუცულ მუშაბადაფენილ იატაკზე გა-

დაირბენდა ხოლმე და თან ოსტატურად ჩამოატარებდა ჩაის ფინჯვნებით ისეთნაირად გაძეგილ ლანგარს, თითქოს ფრთოსნებს გადაუვსიათ ზღვის ნაპირი; და ასევე, მთელი კედლის სიგანე, ზეთის საღებავით ნახატი ტილოები – მოკლე, ყველაგან ყველაფერი ერთნაირი და ერთნაირად იგივე. აი, სხვაობა კი მხოლოდ ისაა, რომ ერთგან ნახატზე იმოდენა ძუძუებიანი ნიმუში ისახებოდა, ალბათ ცხოვრებაში რომ არ უნახავს მკითხველს. თუმცა ბუნების მსგავსი სიცელქე ისტორიულ ნახატებსაც ახასიათებს ხოლმე – კაცმა არ იცის, როდის და საიდან ჩამოტანილს ჩვენთან, რუსეთში – ზოგჯერ ჩვენივე ბობოლების მიერ, ხელოვნებას რომ ერტფიან და ამგვარ ქმნილებებს ძირითადად იტალიაში ყიდულობენ იქაურივე მეგზურების რჩევით. ახლა პატონმა ქუდი მოიხადა და შალის ფერადოვანი ყელსახვევიც შემოიხსნა, როგორებსაც ცოლიან კაცებს საკუთარი ხელით უქსოვენ მეუღლები – შესაბამისი ჭუა-დარიგებების ჩიჩინით, თუ როგორ და რანაირად შეიფუთონ. აი, უცოლოებზე კი დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი: ღმერთმა უწყის, იმათ ვინ უქსოვს ამეებს, რადგან მსგავსი ყელსახვევი ცხოვრებაში არ მიტარებია. ამას რომ მორჩა, პატონმა სადილი შეუკვეთა და სანამ დუქნების ჩვეულ კერძებს უნაცვლებდნენ ერთიმეორეს – მჟაუნას წვინიანსა და ფეროვან ღვეზელს, საგანგებოდ რომ უნახავენ მგზავრებს რამდენიმე კვირის განმავლობაში, მუხუდოთი შეემაზულ ტვინს, სოსისსა და კომბოსტოს, შემწვარ ყვერულს, მჟავე კიტრსა და, რაღა თქმა უნდა, მუდამჟამ თბილ-თბილ, ფეროვან ნაზუქს – ვიდრე ყველაფერ ამას მოართმევდნენ, შემთბარსაც და ცივ-ცივადაც, მგზავრმა მედუქნებიჭს, ანუ იგივე მიმტანს, სულ წვრილ-წვრილად დააფქვევინა, თუ ვინ ყოფილიყო ადრე იქაურობის მეპატრონე და ახლა ვის ეკუთვნოდა, დიდი მოგება მოპქონდა თუ არც მაინცდამაინც, და რამდენად გაიძვერა გახლდათ დუქნის ახლანდელი პატონ-პატრონი. ამ ბოლო შეკითხვაზე ბიჭმა ჩვეული პასუხი გასცა: დიდი, დი-ი-დი გაიძვერა ვინმე გახლავთ, პატონო ჩემოო. სხვათა შორის, განათლებულ ეპროპაში, ისევე როგორც ჩვენს განათლებულ რუსეთში, დღესდღეობით უკვე ბევრი პატივცემული გვამი მოიძებნება ისეთი, ვისაც სა-

დილობისას ლუკმა არ გადაუვა ყელში, მსახურს თუ საუბარი არ გაუბა, ზოგჯერ კი სულაც უბოროტოდ არ დასცინა კიდეც. ოღონდ ეგეცაა, ამ ჩვენს მგზავრს კითხვები მხოლოდ სიტყვის მასალად არ დაუსვამს: ზედმიწევნით გამოიძია, თუ ვის ეკავა იქ ქალაქის თავის თანამდებობა, ვინ თავმჯდომარეობდა ადგილობრივ პალატას, პროკურორად ვინ ჰყავდათ – მოკლედ, არც ერთი მეტ-ნაკლებად წონიანი ჩინოსანი არ დავიწყებია. კიდევ უფრო გამოწვლილვით გამოიკითხა ყველა მსხვილი მემამულის ამბავი და ბოლომდე ჩაეძია, ვის რამდენი ყმა ჰყავდა, ვინ რამდენად შორს თუ ახლოს ბინადრობდა ქალაქიდან, ვის როგორი ზნე გამოარჩევდა და რამდენად ხშირად ჩამოდიოდა ხოლმე საკუთარი მამულიდან. დიდი ყურადღებით გაარკვია მთელი იქაური მხარის მდგომარეობა – გამოიკითხა, რაიმე ავადობას ხომ არ ეჩინა თავი გუბერნიაში, მომაკვდინებელ ციებას თუ უცხო ჯურის ცხელებას, ყვავილსა თუ სხვა რამ მსგავსს, და თან იმდენად დაპეჯითებითა და ჩაძიებით, აშკარად რომ სცდებოდა უბრალო ცნობისწადილის საზღვრებს. თავი ღირსეულად ეჭირა, იმაზე თუ არაფერს ვიტყვით, როგორი ხმაურით იხოცავდა ცხვირს. ვერ გეტყვით, როგორ ახერხებდა ამას, მაგრამ მისი ცხვირი მთლად საყვირივით გრგვინავდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარმა ღირსებამ ეტყობა, მის მიმართ გვარიანი მოწინება აღუძრა მედუქნე ბიჭს – გაგონებისთანავე თმა ნაუცხათევად უკან გადაიყარა, საქმიანად გაიჯემია, თავი პატივისცემით დაუხარა და ჩაეკითხა: კიდევ რამეს ხომ არ ინებებთო. ნასადილევს სტუმარმა ფინჯანი ყავაც არ დაიკლო, ტახტზეც ჩამოვადა და ზურგსუკან ბალიში ამოიდო, რომელსაც, როგორც წესი, რბილი, დამყოლი შალის ნაცვლად, რუსეთის დუქნებში რაღაც ისეთით ტენიან, მეტისმეტად რომ ჩამოვავს აგურსა თუ რიყის ქვას. მერე უკვე მთქნარებასაც მოჰყვა და ითხოვა, ჩემს ოთახამდე მიმაცილეთო, სადაც საწოლზე მიწვა და ორიოდე საათით წაუძინა. უკვე გამოძინებულზე, იმავე მედუქნე ბიჭის მოწინებული თხოვნით, ქალალდის ნაგლეჯზე საკუთარი წოდება, სახელი და გვარი დაწერა – დანიშნულებისამებრ, კერძოდ კი პოლიციაში წარსადგენად. კიბეზე ჩასვლი-

სას ბიჭმა ფურცელს დახედა და დამარცვლით ამოიკითხა: „კოლე-  
გიის მრჩეველი პაველ ივანოვიჩ ჩიჩიკოვი, მემამულე; პირად საქმე-  
ზე“. სანამ ის ნაწერის ჩათავებაზე ჯახირობდა, თავად პაველ ივანო-  
ვიჩ ჩიჩიკოვი ქალაქის დასათვალიერებლად გაემართა, რომელიც  
ეტყობა, თვალში მოსვლოდა, რადგან მიეჩნია, არაფრით ჩამოუვარ-  
დება სხვა საგუბერნიო ქალაქებსო. ქვის ნაგებობებზე აქაც ყვითე-  
ლი ფერი ჭარბობდა, რუხი კი მორცხვად ჩამუქებულიყო ხის შენო-  
ბებზე. სახლები ერთ, ორ, ან სულაც სართულნახევრიანი იდგა და,  
რაღა თქმა უნდა, ყველა – მეზონინანი, რაც გუბერნიის ხუროთ-  
მოძღვრებს აშკარა ხიბლის ნიშნად მიეჩნიათ. ზოგან ეს სახლები  
მინდორივით გაშლილ ქუჩასა თუ ხის უსასრულო მესრებში ჩაკარ-  
გულიყო, ზოგან კი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და აქ ბევრად მეტი ხალ-  
ხმრავლობა და გამოცოცხლება შეიმჩნეოდა. გზადაგზა წვიმით თით-  
ქმის მთლად გადარეცხილი აბრებიც შემოგხვდებოდათ, ზედ გამო-  
სახული ბლითებითა თუ ჩექმებით; სხვებზე ლურჯი სალებავით და-  
ხატული შარვლები და ვიღაც არშაველი თერძის ხელრთვაც მოჩან-  
და. ერთ-ერთ დუქანს, სადაც ქუდებითა და სხვა თავსაბურავით  
ვაჭრობდნენ, ამგვარი წარწერა ამშვენებდა: „ვასილი ფოლდოროვი  
უცხოეთიდან“. იქვე, კიდევ ერთ აბრაზე ბილიარდის მაგიდა და ორი  
მოთამაშე გამოესახათ – ზუსტად იმნაირ ფრაკებში გამოკვართულე-  
ბი, ჩვენებურ თეატრებში, სცენაზე ბოლო მოქმედების დროს გამო-  
საჩენ სტუმრებს რომ აცვიათ ხოლმე. მოთამაშეებს ისე მოემარჯვე-  
ბინათ უცნაურად ამოტრიალებულ ხელებში თავ-თავიანთი კიები და  
ფეხებიც ისე გაეფარჩხათ, თითქოს სადაცაა, პარენში უნდა შეიკუნ-  
ტრუშონო. თავის მხრივ, ამ ნახატსაც ამშვენებდა წარწერა: „გვეძებ-  
დით და მოგვაგენით!“ სამიკიტნო კი კარზე მიხატული, ჩანგალგარ-  
ჭობილი, მსუქანა თევზით იწონებდა თავს. აქა-იქ ზედ ქუჩაში დაედ-  
გათ ხილით, საპნითა თუ თაფლაკვერებით დახუნძლული დახლები,  
თუმცა ამ ბოლო ორს ძნელად თუ გაარჩევდი ერთმანეთისაგან. ყვე-  
ლაზე ხშირად კი ჩამუქებული, საგერბო არწივები ხვდებოდა თვალს  
(რომლებიც ახლა მოკლე წარწერით ჩაანაცვლეს – სამიკიტნო). ქვა-  
ფენილს რაც შეხება, ის ყველგან ერთნაირად უვარგისი ჩანდა.

მგზავრმა ქალაქის ბალშიც შეიარა, სადაც ტანწვრილი, წელში გაღუნული ხეებისთვის ზეთის მწვანე საღებავით გულმოდგინედ შეღებილი სამკუთხა ბიჯგები შეეყენებინათ. ლერწამზე არცთუ ისე მაღალი ეს ხეები კი გაზეთში იღუმინაციის აღწერისას ასე მოეხსენებინათ: „საერო მმართველის ზრუნვითა და რუდუნებით, ჩვენი ქალაქი კი-დევ უფრო დამშვენდა იმ ბალნარის წყალობით, სადაც ყველაზე ცხელ დღესაც კი ვარჯვანიერ ხეთა საჩრდილობელი დაგიხვდებათ“, და კიდევ ისიც იყო ნათქვამი, მოსახლეობას გული აუჩუყდა და ლამის თვალს ცრემლი მოადგა მადლიერების იმ უსაზღვრო გრძნობისაგან, რასაც უფალი ქალაქის თავის მიმართ განიცდისო... ამის შემდეგ ჩამოსული იქაურ დარაჯვასაც თავისებურად ჩაეკითხა, საჭიროების შემთხვევაში, ყველაზე მოკლე გზით როგორ მივიღოდა ტაძართან, საკრებულოს შენობასა თუ გუბერნატორის სამყოფელთან. მერე კი იმ მდინარისთვის თვალის შესავლებად გაემართა, რომელიც ზუსტად შუაზე ჰყოფდა ქალაქს. გზად ბოძზე მიჭედებული აფიშა ჩამოხია – შინ დაბრუნებული, უფრო გულდინჯად წავიკითხავო, თან ყურადღებით შეათვალიერა ხის ფიცარნაგზე მიმავალი სანდომინანი ქალბატონი, რომელსაც უკან პატარა ფუთაჩაბლუჯული, სამხედრო ქულაჯაში გამოწყობილი ბიჭი მისდევდა. ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ყველაფერს, თითქოსდა საიმისოდ, იქაურობის ადგილმდებარეობა კარგად მოენიშნა და მერე პირდაპირ სასტუმროს მიაშურა, სადაც კიბეზე ასვლისას მსახურმა ბიჭმა ხელიც კი შეაშველა მსუბუქად. ერთხელაც ისიამოვნა ჩაით და საწერ მაგიდას მიუჯდა, სანთლის მოტანა მოითხოვა, ჯიბიდან გაკეცილი აფიშა ამოილო, გაშალა, სანთელთან მიიტანა და მარჯვენა თვალმოჭუტული, კითხვას შეუდგა. ჩვენში დარჩეს, აფიშაზე ღირსშესანიშნავი ბევრიც ვერაფერი ამოიკითხა: თეატრში ბ-ნ კოცებუს დრამას თამაშობდნენ, რომელშიც როლა ბატონ პოპლევინს უნდა განესახიერებინა, კორა კი – ყმანვილქალ ზიავლოვას. სხვა როლების შემსრულებელთა ვინაობა კიდევ უფრო ნაკლებისმთემელი გახლდათ, მაგრამ მაინც ბოლომდე ჩაიკითხა, პარტერის ბილეთის ფასიც კი დააზუსტა და ისიც გაარკვია, აფიშა გუბერნიის სამმართველოს კუთვნილ სტამბაში დაუბეჭ-

დავთო. მერე უკანა გვერდზეც გადავიდა იმაში დასარწმუნებლად, არაფერი გამომრჩენია. ცარიელ ფურცელზე რომ წასაკითხი აღარაფერი დაუხვდა, თვალები მოიფშვნიტა, აფიშა ისევ კოხტად გაკეცა და თავის ზარდახშაში დაბინავა, როგორც ჩვეულებრივ იქცეოდა ხოლმე, თუ რამ შენახვის ლირსი მოხვდებოდა ხელთ. ის დღე მისთვის ერთი ულუფა მოხარშული ხბოს ხორცით, მათლაფა მუაუნას წვინიანითა და ისეთი ღრმა ფშვინვით დასრულდა, უკიდეგანო რუსეთის ზოგ ადგილას, უბრალოდ, გემრიელ ხვრინვად რომ ხმობენ.

მთელი მომდევნო დღე სტუმრობებს დაეთმო: ახლად ჩამოსულმა ქალაქის ყველა მაღალჩინოსანი მოინახულა, დიდი მოწინებით ეახლა გუბერნატორს, რომელიც, თავად ჩიჩიკოვისა არ იყოს, არც ზედმეტად ფერხორციანი და არც მეტისმეტად მჭლე გახლდათ; ყელზე წმ. ანას ორდენი ეკიდა, ჩუმ-ჩუმად კი მასზე იმასაც ამბობდნენ, ვარსკვლავის ორდენზეცაა წარდგენილიო. ერთობ გულეკეთილი კაცი აღმოჩნდა, ვისაც მოცალეობის უამს მარმაშზე ქარგვა ჰყვარებოდა. ამის მერელა მოინახულა ვიცე-გუბერნატორი, პროკურორი, პალატის თავმჯდომარე, პოლიციელისტერი, მსხვილ მოივარეთა თავკაცი, სახაზინო ფაბრიკების მეთვალყურე... სამწერაოდ, რთული არაა, ვინმე არ გამოგრჩეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა სიაში, ოღონდ ის კი უნდა ითქვას, რომ ამ ახლად ჩამოსულს, თავის მხრივ, დრო და ძალა არ დაუზოგავს: პატივისცემის დასადასტურებლად, საექიმო გამგეობისა და ქალაქის ხუროთმოძღვრის მონახულებაც არ დაზარებია. მერე კიდევ დიდხანს იჯდა თავის ბრიჩები და ფიქრობდა – კიდევ ვის მივაგო პატივიო, ოღონდ ასე ჩანდა, ქალაქში პატივმიუგებელი ჩინოსანი აღარავინ დარჩენოდა. ხსნებულ ბობოლებთან საუბრისას ერთობ ისტატურად ახერხებდა ყოველი მათგანის გულის მოგებას. გუბერნატორს თითქოსდა სასხვათაშორისოდ გადაუკერა – თქვენს გუბერნიაში ჩამოსული, ლამის სამოთხეში ხვდები კაცი, გზებიც სულ ერთიმეორეზე გაზიზინებულია და საერთოდაც, ყველა მთავრობა, ვინც ასეთ ბრძენ ჩინოსნებს ნიშნავს თანამდებობებზე, უთუოდ დიდი ქების ლირ-

სიაო. პოლიცმეისტერსაც შეუქო ხელქვეითნი, ვიცე-გუბერნატორს და პალატის თავმჯდომარეს კი, რომლებსაც ჯერ მხოლოდ სახელმწიფო მრჩევლის წოდება ჰქონდათ მორგებული, თითქოსდა შეცდომით მიმართა – თქვენ აღმატებულებაო, რაც ორთავეს გულზე მოესალბუნა. ამ ყველაფრის შედეგი თუ იყო, რომ გუბერნატორმა იმავე საღამოს მინვია შინაურულ წვეულებაზე. მას არც სხვა ჩინოსნები ჩამორჩნენ და, თავ-თავის მხრივ, ყველამ დაპატიუა – ზოგმა სადილზე, ზოგმა – ერთი ხელი ბანქოს სათამაშოდ და ზოგმა კიდევ – უბრალოდ, ფინჯანი ჩაის დასალევად.

ისე ჩანდა, რომ სტუმარი საკუთარ თავზე ბევრ ლაპარაქს ერიდებოდა: თუკი ამბობდა რამეს, ძალზე ზოგადად და თვალშისაცემი თავმდაბლობით. ასეთ დროს მისი მეტყველება, ცოტა არ იყოს, მნიგნობრულ ელფერს იძენდა – მღილი მღილთაგანი ვარ და გადამეტებულ ყურადღებას არ ვიმსახურებ, ბევრი განსაცდელი გამომივლია ცხოვრებაში, მართლის მთქმელობისთვისაც დავსჯილვარ, არაკეთილმოსურნებიც არ მაკლია, სასიკვდილო საფრთხეც დამმუქრებია, ახლა კი სიმშვიდეს, საბოლოოდ დასამკვიდრებელ ადგილს ვეძებ და ამ ქალაქში მოხვედრილმა, აუცილებელ ვალდებულებად მივიჩნიე, ჩემი პატივისცემა დამედასტურებინა მისი უპირველესი ჩინოსნებისთვისო. სულ ეს გახლდათ, რაც ქალაქში ამ ახლად გამოჩენილი კაცის თაობაზე შეიტყვეს, ვინც, სხვათა შორის, ძალიან მალევე იხილეს გუბერნატორის მიერ გამართულ წვეულებაზე. ამ ღონისძიებაზე წასასვლელად სტუმარი ორ საათზე მეტხანს ემზადებოდა – ისეთი გულისყრით მიუდგა საქმეს, იმგვარი წრეგადასული გულმოდგინება გამოიჩინა ჩასაცმელ-დასახურის შერჩევისას, მრავლისმნახველსაც რომ გააკვირვებდა. სადილობის შემდეგ ცოტა წაუძინა, მერე კი ბანაობა ინება: დიდხანს იქაფა საპირი თრივე ლოყა, თან შიგნიდანაც ღონივრად აწვებოდა ენის წვერით. ამას რომ მორჩა, მედუქნე ბიჭის მხარზე გადაგდებულ პირსახოცს დასწვდა და ყურებს უკრიდან მოყოლებული, მთელი სახე გულდაგულ შეიმშრალა, ერთი-ორჯერ შიგ ცხვირ-პირშიც კი შეუფრუტუნა საბრალო ბიჭს. სარკის წინ გულისპირი მოირგო, ნესტოებიდან თავგა-

მოყოფილი ორი ღერი თმა გამოიწინება და მნიშვე მოცვისფერ მბზინავ ფრაკშიც გამოეწყო. სწორედ ასე მორთულ-მოკაზმული გაუყვა საკუთარი ეტლით ქალაქის უჩვეულოდ ფართო ქუჩებს, რომლებსაც მხოლოდ აქა-იქ მბჟუტავი, თითო-ოროლა ფანჯრიდან გამომავალი შუქი ანათებდა სუსტად. თავად გუბერნატორის სახლი კი სწორედაც სამეჯლისოდ გაჩახახებულს ჰგავდა. სადარბაზოს-თან ერთი ანთებულფარნებიანი ეტლი და ორი უანდარმი იდგა, ახლომახლო მეეტლეთა გადაძახილი მოისმოდა. მოკლედ, ყველაფერი წესისა და რიგისამებრ მიდიოდა. დარბაზში შესულ ჩიჩიკოვს წამით თვალი მოსჭრა ჭალების ჩახახმაც და ბანოვანთა კაბების ლაპლაპ-მაც – ირგვლივ ყველაფერი ბრწყინვადა და ელვარებდა. შავი ფრაკები ხან აქა-იქ კრთებოდა, ხან კი ჯგუფ-ჯგუფად მოჩანდა სწორედ იმ ბუზებივით, ქათქათა შაქრის მოზრდილ ნატეხს რომ დასტრიალებენ თავს ცხელი ივლისის თვეში, როცა მოხუცი მნე ქალი ამ წატეხს წვრილ-წვრილად აქუცმაცებს ფართოდ გამოლებულ ფანჯარასთან; მოჯარული ბავშვები მოლოდინით მიჩერებიან მის წაჯაფარ ხელებში ჩაბლუჯულ, მოქნეულ ჩაქუჩის, მსუბუქ სიოს წამოყოლილი ბუზების მფრინავი ესკადრონი კი თამაბად, სრულუფლებიანი მასპინძელივით იჭრება ოთახში და მზის შუქით თვალმოჭრილი, ისედაც თვალისჩინმოკლებული ბებრუხანას არად ჩამგდები, სათითაოდ თუ გუნდ-გუნდად ასხდება სანუკვარ წუგბარს. მსუყე ზაფხულით გამაძლარნი, ისედაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ სთავაზობს გემრიელ სასუსნავს, ახლა მართლა საჭმელად კი არ შემოფრენილან, არამედ მხოლოდ თავის გამოსაჩენად, შაქრის ამ გორაზე გასასეირნებელ-გამოსასეირნებლად, წინა თუ უკანა ფეხების ერთმანეთისთვის გასახახუნებლად, ანდა ამ ფეხებითვე ფრთებქვეშ მოსაფხანად, ანთუ სულაც წინა ფეხებით თავის მოსაქექად და მერე უკან გასაბრუნებლად, რათა ცოტა ხანში ისევ მოფრინდნენ გამაბეზრებელი ბზუილ-ბზუილით. ჩიჩიკოვმა იქაურობის ხეირიანად მოთვალიერებაც ვერ მოასწრო, რომ გუბერნატორი მაშინვე მკლავზე ეცა და სასწრაფოდ მეუღლეს წარუდგინა. სტუმარს არც ამ შემთხვევაში შეურცხვენია თავი: იქვე მოიფიქრა შუახნის კაცისათვის

ერთობ შესაფერისი ქათინაური – მისთვის, ვინც არც მაინცდამაინც მაღალი და არც მთლად დაბალი წოდებისაა. მერე, როცა აცეკვე-ბულმა წყვილებმა ყველა დანარჩენი დარბაზის კედლებისკენ შეა-ვიწროვეს, ხელები უკან დაიკრიფა და ორიოდ წუთი დიდი ყურად-ლებით უცერდა მოცეკვავებს. ბევრ ბანოვანს რიგიანად, მოდაზე ეცვა, სხვებს კი ის მოერგოთ, რაც მათვის ამ საგუბერნიო ქალაქ-ში გამოემტებინა მაღალ ღმერთს. როგორც ყველგან, კაცები აქაც ორნაირი ჯურის ჩანდნენ: უფრო თხელ-თხელები სულ ქალების გარშემო ტრიალებდნენ და ამნაირებში ისეთებიც ერივნენ, ვისაც ძნელად თუ გაარჩევდი ნაღდი პეტერბურგელისაგან – დედაქალა-ქელებივით გულდასმით და არცთუ უგემოვნოდ დაევარცხნათ ქილ-ვაშები, ნმინდად პირგაპარსულები კი სახის ნაკვთებითაც არ დაი-ნუნებოდნენ. ქალბატონებსაც ლალად და თამამად მიუჯდებოდნენ ხოლმე გვერდით და სწორედ ისე ელულუნებოდნენ ფრანგულად, ისევე ამხიარულებდნენ, როგორც ეს ძირძველი პეტერბურგელისა-გან იქნებოდა მოსალოდნელი. მეორე ჯგუფს მსუქანი ან მთლად ჩიჩიკოვისნაირი მამაკაცები შეადგენდნენ – არც მაინცდამაინც ფერხორცინები და არც ზედმეტად გაჩინიულები. ესენი, პირიქით, თვალს არიდებდნენ ქალებს, გაურბოდნენ, მზერაც აქეთ-იქით დაურბოდათ და სულ იმის ცდაში იყვნენ, როდის გაანყობდა გუ-ბერნატორის ლაქი ვისტის სათამაშო, მწვანე მაუდგადაკრულ მა-გიდას. უფრო მსუქნებს მრგვალი, ხორციანი სახეები ჰქონდათ, ზოგს – მეჭეჭებიანიც; აქა-იქ ჩოფურებიც ერივნენ. თავზე თმას რაც შეეხება, არც ერთს არ ამშვენებდა ქოჩორი, კულულები თუ ის მოდური ვარცხნილობა, რასაც ფრანგებმა „ეშმაკმა წამილოს“ შეარ-ქვეს: თმა ყველას ან მოკლედ შეეკრიფა, ანდა დიდი მონდომებით გადაეგლისა კეფაზე. უმრავლესობას მოვლილ-ნაპატივები იერი ედო – ესენი ქალაქის დაფასებული ჩინოსნები ბრძანდებოდნენ. რას იზამ, ამქვეყნად მსუქნებს ხომ გამხდრებზე მეტად ეხერხებათ საქ-მების მოკვარახჭინება! ეს უკანასკნელი მეტწილად საგანგებო დავალებათა უწყებაში მსახურობენ, ან მხოლოდ ირიცხებიან, ერ-თთავად ალმა-დალმა სირბილი უწევთ და, შესაბამისად, მათი არსე-

ბობაც რაღაც მეტისმეტად იოლი, არამყარი და არასაიმედოა. აი, მსუქნები კი არასოდეს ყაბულდებიან არამყარ თანამდებობებს და თუ მოჯდნენ სადმე, მერე უკვე ვერას დიდებით ვეღარ მოაცვლევინებ იქიდან ფეხს; უმალ თვითონ თანამდებობას შეუდგება წყალი და გაუქმდება, ვინემ ისინი შეელევიან. არც გარეგან ბრნყინვალებას დაგიდევენ – ფრაცსაც ვერასოდეს ირგებენ ისე კოხტად, როგორც გამხდრები; სამაგიეროდ, უფლის წყალობით, ზარდაბშები აქვთ პირთამდე სავსე. გამხდარ კაცს სამ წელიწადში ერთი სული ყმაც არ რჩება დაუგირავებელი, მსუქანს კი მშვიდად გაჰყავს წუთისოფელი – გაიხედავ და სადმე, ქალაქის ბოლოში ცოლის სახელზე იყიდის სახლს, მერე მეორე ბოლოში კიდევ ერთს დაისაკუთრებს; შემდეგ იმავე ქალაქის მახლობლად ჯერ პატარა სოფელს დაეპატრონება, ცოტა ხანში კიდე უფრო დიდსაც ჩაიგდებს ხელში, მთელი იმისი სანახებიანად. საბოლოოდ, ლეთისა და ხელმწიფის წინაშე ვალმოხდილი, საყოველთაოდ დაფასებული მსუქანა სამსახურსაც ანებებს თავს, სოფლად ბინავდება და მემამულედ, ჭეშმარიტ რუს მებატონედ, პურმარილიან და ცხოვრების გემოს მცოდნე კაცად გარდაისახება. ოლონდ ეგაა, მოკვდება და თავისივე გამხდარ-გამხდარი მემკვიდრები, ჩვენი რუსული ჩვეულებისამებრ, მთელ მამისულ ქონებას დაამდერებენ და წყალს გაატანენ. არ დაგიმალავთ, ჩიჩიკოვსაც დაახლოებით ასეთი აზრები უტრიიალებდა თავში, როცა ეს ზეპური საზოგადოება კარგად შეათვალიერა. საბოლოოდ მაინც მსუქნებს შეუერთდა, რომლებშიც მეტწილად ნაცნობი ხალხი დაუხვდა: შავ-შავი, ხშირწარბებიანი პროკურორი, დროდადრო ისე ეშმაკურად რომ ჭუტავდა მარცხენა თვალს, თითქოს ანიშნებდა – წამო, ძმაო, გვერდით ოთახში გავიდეთ და რაღაცას გეტყვიო; თუმცა კი მთლიანობაში, მაინც გულდინჯი და სიტყვაძუნწი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იქვე იდგა ფოსტის უფროსიც, ტანდაბალი და პუტკუნა, ერთობ ენამახვილი და მოფილოსოფოსო ვინმე; ასევე, პალატის თაემჯდომარეც, ჭკუადამჯდარი და ხაზგასმით თავაზიანი პიროვნება. ყველა ისე მიესალმა ჩიჩიკოვს, როგორც ძველისძველ ნაცნობს, რაზეც ამ უკანასკნელმა მათ ცალ-ცალკე, საკმაოდ მოხ-

დენილად დაუკრა თავი. ახალი ნაცნობებიც სწრაფად გაიჩინა – ზრდილი მემამულე მანილოვი და, ერთი შეხედვით, ცოტა არ იყოს, მოუქნელი სობაკევიჩი, ვინც გაცნობისას შემთხვევით ფეხი დაადგა და იქვე ბოდიშებად დაიღვარა – თუ ღმერთი გწამთ, მომიტევეთო. მერე უკვე ბანქოს თამაშიც შესთავაზეს, რაზეც ჩიჩიკოვმა თავაზიანი თანხმობა განაცხადა. მწვანე მაუდგადაკრულ მაგიდას მიუსხდნენ და ვახშმამდე აღარც წამომდგარან. აი, აქ კი ერთბაშად შეწყდა ყოველგვარი განყენებული საუბარი, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, როცა საქმიანი ხალხი, ბოლოს და ბოლოს, თავის შესაფერის გასართობს გამონახავს. მართალია, ფოსტის უფროსი ლაპარაკის დიდად მოყვარული გახლდათ, მაგრამ როგორც კი ბანქოს ქაღალდი მოიგდო ხელში, მაშინვე ზედა ტუჩქველი ქვედა მოიჭია, სახეზე მოაზროვნის ნიღაბი აიფარა და მთელი თამაშის განმავლობაში გამომეტყველება აღარც შეუცვლია. ყოველი ახალი ქაღალდის ჩამოსვლისას მაგიდას ღონივრად დაჰკრავდა ხოლმე ხელს და იმის მიხედვით, თუ რა ეხატა ზედ, ბურტყუნებდა: მოვიდა ბებერი ფოფოდია! ანდა – ეგაც თქვენი ტამბოველი გლეხკაციო. ვალში არც პალატის თავმჯდომარე რჩებოდა და იმის ბურტყუნს უპასუხოდ არასოდეს ტოვებდა: ემაგ თქვენს გლეხკაცს ულვაშებს სულ ღერადერა დავანინენიო! – გაიძახოდა. თუმცა ბანქოს ჩამოჭრისას სხვა გამოთქმებიც ხშირად გაისმოდა. ასე მაგალითად: რაც იყოს, იყოს! სულ არაფერს ისევ აგური ჯობსო, ანდა – გული მინდა, გული! გულის გამხარებელიო. ზოგჯერ ბანქოს ფერების სახელებსაც თავისებურად ასხვაფერებდნენ და უცები კაცი იმათი წამოძახილებიდან ბევრს ვერაფერს გაარკვევდა. თამაშს რომ მორჩნენ, როგორც წესია, დიდხანს და საკმაოდ ხმამაღლა იკამათეს. კამათობდა ქაღაქში ახლად გამოჩენილი ეს ჩვენი სტუმარიც, ოღონდ რაღაც მეტისმეტად დახსელოვნებულად. ყველა კი ხვდებოდა – გვეკამათებაო, მაგრამ თან სიამოვნებდათ კიდეც მისგან სიტყვის შემობრუნება. არასოდეს უთქვამს, თქვენ ესა და ეს ქაღალდი ჩამოხვედითო; ასე ამბობდა, თქვენ ამა და ამ ქაღალდის ჩამოსვლა ინებეთო, ანდა ასეთნაირად: პატივი მქონდა, თქვენი ორიანი ჩემით გამეჭრაო, და სულ

ასე და ამგვარად. მოწინააღმდეგები კიდევ უფრო მეტად რომ დაერწმუნებინა თავის ამა თუ იმ ნათქვამში, ყოველ ჯერზე თავაზიანად უწვდიდა ვერცხლის მომინანქრებულ სათუთუნეს, რომლის ფსკერზეც აშკარად მოჩანდა ორი ია – ეტყობა, სუნის მისაცემად შიგ ჩაფენილი. განსაკუთრებული ყურადღება სტუმარმა მაინც მანილოვისა და სობაკევიჩის მიმართ გამოხატა, იმ ორი მემამულის, ზემოთ უკვე რომ მოვისხესნიერ. ერთი პირობა გვერდზე გაიხმო პალატის თავმჯდომარეცა და ფოსტის უფროსიც, რათა ამ ორი პატივცემული გვამის შესახებ მეტი შეეტყო. სულ რამდენიმე შეკითხვამ კი მაშინვე ნათელი გახადა ცნობისნადილისა თუ ნებისმიერი წვრილმანისადმი მისი საქმიანი მიდგომის სიღრმისეულობა, რამეთუ, პირველ რიგში, ის გაარკვია, რამდენ სულ ყმაგლებს ფლობდა თითოეული მათგანი, როგორ მისდიოდათ მამულში საქმე, და უკვე შემდეგდა დააზუსტა იმათი ნათლობისა თუ მამის სახელები. მერე იყო და, სულ მცირე ხანი დასჭირდა ამ ბატონების საპოლონდ მოსახიბლად. იგივე მემამულე მანილოვს, არცთუ ჭარმაგ კაცს, რომელსაც შაქარივით ჩამტკპარი მზერა ჰქონდა და სიცილის დროს თვალები ეჭუტებოდა, მთლად გულში ჩაუვარდა ეს ახალი ნაცნობი. დამშვიდობებისას კარგა ხნით ჩაბლუჯა მისი ხელი და დაპეჯითებით სთხოვდა – პატივი დამდეთ და ჩემს მამულში სტუმრობით გამაბედნიერეთ, იქამდე ხომ ქალაქის მიჯნიდან სულ რაღაც თხუთმეტიოდე ვერსია გასავლელიო. ჩიჩიკოვმაც ხაზგასმულად თავაზიანი ღიმილით მიუგო: არა მარტო უდიდესი სიამოვნებით ვიღებ თქვენს მინვევას, ამას ჩემს წმინდათა წმინდა მოვალეობადაც კი მივიჩნევო. სობაკევიჩი უფრო სიტყვაძუნწი გამოდგა: ჩემთანაც გეპატიუებითო, – უთხრა და იმოდენა ზომის ჩექმა დაჲკრა იატაკს, რომლის შესაფერისი ფეხი ძნელად თუ მოიძებნება ცისქვეშეთში, მით უმეტეს, დღესდღეობით, როცა უკვე რუსეთშიც შეიმჩნევა გოლიათების გადაშენების ნიშნები.

მეორე დღეს ჩიჩიკოვი პოლიცმეისტერთან გაემგზავრა, სადაც სადილად და მერე საღამოს გასატარებლად გახლდათ მიწვეული. ნასადილევს, დღის სამ საათზე, ვისტს ჩაუსხდნენ და თამაში ნა-